



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N6**

ქ.ლანჩხუთი

21.06.2016 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე, კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე, ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე, ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გელა კილაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შედგება გამგეობიდან და საკრებულოს კომისიებიდან შემოსული პროექტისგან და იმ საკითხებიდან, რომლებზეც წინა საკრებულოს სხდომაზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. მისი თქმით, დღის

წესრიგის განსაზღვრის შემდეგ გამგეობიდან განსახილველად შემოვიდა რამდენიმე ახალი საკითხი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარმდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწამე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

9. სხვადასხვა .

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა მორიგი საკრებულოს სხდომის მოწვევის საკითხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 30 ივნისი, 10 საათი.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭალაში მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწის(უძრავი ქონების) ს/კ 27.09.48.005). ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრს“ (ს/კ 433642178) თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, საჭიროა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრთან“ გაფორმდეს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე

წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ- ტექნიკური პირობები. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა გახლავთ პეტიცია, რომლის წარდგენის დროს მნიშვნელოვანია გარკვეული პროცედურების დაცვა, ამიტომ საკრებულოს მიერ საჭიროა შემუშავდეს ერთიანი პეტიციის წარმდგენი(მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკი, პეტიციის წარდგენის თაობაზე წარსადგენი განცხადების ფორმა და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის ფორმა. აღნიშნულის დამტკიცება ხელს შეუწყობს, როგორც საკრებულოს მუშაობას, ასევე პეტიციის სწორ წარდგენას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2015 წლიდან გადავიდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაზე, სადაც ეტაპობრივად ხდება გარკვეული დავალებების სისტემის მეშვეობით შესრულება, დღესდღეობით კი, ძირითადი დოკუმენტების მომზადება და საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად, რამაც განაპირობა აუცილებლობა იმისა, რომ შევიმუშაოთ ერთიანი წესი, რის მიხედვითაც მოხდება საქმისწარმოების დარეგულირება. საკითხი განიხილა საკრებულოს ყველა ფრაქციამ და კომისიამ, რომელთა მხრიდან რაიმე შენიშვნები, წინადადებები არ გამოთქმულა. დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძის მიერ გამოითქვა შენიშვნა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტ-მოწოდების პრობლემის თაობაზე, რომელიც წარმოდგენილ დოკუმენტთან თვისობრივ კავშირში არ არის. შენიშვნა უკავშირდება წარმოდგენილი საკითხის შესრულების მხოლოდ ტექნიკურ მხარეს.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ხარვეზით მოწოდებული ინტერნეტი პირდაპირ კავშირშია წარმოდგენილი წესის შესრულებასთან.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ელექტრონული საქმისწარმოების მუშაობის პროცესში განსაზღვრულია დრო, თუ რა ვადაში უნდა მოხდეს ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოს შესრულება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობაში მოქმედი ინტერნეტ-მოწოდება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მისი თქმით, კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეებს შენობის სხვადასხვა სართულზე, სხვადასხვა სამსახურებში არ უნდა უხდებოდეს ინტერნეტით სარგებლობა.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის მიმართ მართალია შენიშვნები არ არის გამოთქმული, მაგრამ აღნიშნული წესის მიღება დაკარგავს თავის ფუნქციას, თუ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტ-მოწოდების პრობლემა არ გადაიჭრება.

დეპუტატი გიორგი ჩახვამე დაინტერესდა, თუ საბოლოოდ როდის მოგვარდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტ-მიწოდების საკითხი.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ გააკეთა განმარტება, რომ როგორც მისთვის ცნობილია მიმდინარეობს შესამაბისი სფეროს კომპეტენტური სპეცილისტების მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლა. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, ქალბატონ მაგული კუნჭულიას დაევალა სპეცილისტების მიერ გაკეთებული დასკვნის მომზადება, თუ როგორი ხარისხის, რა სიხშირის ინტერნეტია საჭირო, რათა ადმინისტრაციულ შენობაში ინტერნეტ-მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზები აღმოიფხვრას. მისი ინფორმაციით, გარკვეული შეთანხმება მიღწეულია, მიმდინარეობს ხელშეკრულების საბოლოო პირობებზე შეთანხმება და იმედოვნებს, რომ აღნიშნული პრობლემა უახლოეს დღეებში გადაიჭრება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება აღნიშნული წესის მიღებას, მაგრამ აუცილებელია ტექნიკური მხარის მოგვარება. იგი დაინტერესდა, რომ აქ საუბარი იყო ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ინტერნეტ-ქსელის რეაბილიტაციაზე თუ ახალი პროვაიდერის შემოსვლაზე.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს თანხა გამოყოფილი აქვს, როგორც არსებულის ინტერნეტ-ქსელის რეაბილიტაციაზე, ასევე ახალი ინტერნეტ-პროვაიდერის ქსელის გაყვანაზე. მისი თქმით, ამ დარგის სპეცილისტების დასკვნიდან გამომდინარე მოხდება ამ საკითხის გადაწყვეტა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანერგულია საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა. ელექტრონული პროგრამის მიზანია დოკუმენტბრუნვის ხარისხის გაუმჯობესება ძირითადი (რუტინული) ამოცანებისა და აქტივობების ავტომატიზაციის გზით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დოკუმენტების მიღების, აღრიცხვის, მომზადების, გაფორმების, მოძრაობის, შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და სხვა პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქცია.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი განიხილა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ. პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. მისი თქმით, სასურველი იქნება აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნეს მორიგი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირის სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ შეატყობინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს და პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ შეადგინოს, გასცეს ოქმი და პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გააგზავნოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლისათვის შესაბამისი ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა უზრუნველყოს გამგეობის დებულებაში ცვლილების შეტანა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების მიერ შემუშავებულ სამუშაო გეგმის საფუძველზე საკრებულოს აპარატმა შეადგინა საკრებულოს 2016 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

- 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ გამგეობის იურიდიულ სამსახურში დღესდღეობით თავისი ჩათვლით მუშაობს სამი თანამშრომელი. თავად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრი. ასევე, იგი სასამართლოსთან და სხვადასხვა უწყებებთან ურთიერთობებში წარმოადგენს მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირების მიზნით, მას უწევს მშენებარე ობიექტის ადგილზე დათვალიერება. თითქმის ყოველდღიურად ტარდება სატენდერო კომისიის სხდომა, ასევე ხშირია სასამართლო პროცესები. სამსახურის ფუნქციების უკეთ განსახორციელებლად, მიზანშეწონილად ჩაითვალა გამგეობის იურიდიულ სამსახურს დაემატოს მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, რომელსაც დაევალება სასამართლოებთან წარმომადგენლობა.

დეპუტატი **ნონა მურვანიძე** დაინტერესდა, რომ მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე, გამგეობის იურიდიულ სამსახურში საშტატო ერთეულის დამატების შემთხვევაში ფინანსური უზრუნველყოფა როგორ

განხორციელდება. მისი თქმით, ამის სრული ინფორმაცია დოკუმენტალურად არ არის წარმოდგენილი.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ საშტატო ერთეულის ფინანსური უზრუნველყოფა მოხდება ასიგნების ფორმით, მუნიციპალიტეტის არსებული რესურსების ფარგლებში.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ გამგეობის იურიდიული სამსახური საშტატო ერთეულების მხრივ გამგეობის სხვა სამსახურებთან შედარებით წარმოადგენს ყველაზე პატარა სამსახურს, რომელიც ასრულებს უდიდეს სამუშაოს. მისი თქმით, იგი ყოველთვის თვლიდა, რომ აღნიშნულ სამსახურს აუცილებლად უნდა დამატებოდა საშტატო ერთეული. დეპუტატი მიესალმება წარმოდგენილ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი 2 წევრი (ნონა მურვანიძე, ელგუჯა ჩხაიძე)

დღის წესრიგის მერვე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ გამგეობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის განმარტებითი ბარათით გამოიკვეთა, რომ აუცილებლობას

წარმოადგენს ცენტრალური საავადმყოფოს ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება 4000 ლარით, რომელიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება განხორციელდეს გამგეობის ტრანსპორტის ტექნიკის და ექსპლუატაციის მოვლა- შენახვის ხარჯების მუხლის 4000 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები 4000 ლარით. აღნიშნული ცვლილებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

დეპუტატმა **ჯუმბერ ზლაგიძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს კუთვნილებაში არსებული ავტომობილები არის გაუმართავ მდგომარეობაში. მან მაგალითი მოიყვანა, რომ გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობის გამო შემთხვევით გადაურჩა ავტოსაგზაო შემთხვევას, ასევე, გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის კუთვნილებაში მყოფი ავტომანქანების გაუმართაობის გამო, სამსახურის წარმომადგენლებს ხელი ეშლებათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. მისი თქმით, აუცილებელია ბიუჯეტში გამოინახოს თანხები, რათა მოხდეს მუნიციპალიტეტისთვის ახალი ავტომობილების შეძენა.

დეპუტატმა **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ უნდა განხორციელდეს ინვენტარიზაცია, კერძოდ ძველი ავტომობილები შეტანილ უნდა იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში და უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტისთვის ახალი ავტომობილების შეძენა.

დეპუტატმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება კოლეგების მიერ გამოქმულ შენიშვნებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების ტექნიკურად გაუმართაობის შესახებ, მისი თქმით აუცილებელია ახალი ავტომობილების შეძენა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დამლაგებელს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემა. მან ინიციატივით მიმართა კოლეგებს სურვილისამებრ, შესაძლებლობების ფარგლებში ვისაც რა საშუალება აქვს, ფინანსურად დაეხმარონ თანამშრომელს, რაზეც ბიუროს წევრებისგან თანხმობა მიიღო.

დეპუტატმა ემზარ თევდოდარძემ აღნიშნა, რომ აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრებელ ნაზი ჯალაღონიას მიკუთვნებული აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი. მისი საცხოვრებელი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, მას მხოლოდ სახლის სახურავის შეცვლით პრობლემა არ მოუგვარდება. დეპუტატი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის რომელი სამსახური აღმოუჩენს ქალბატონს შესაბამის დახმარებას მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამის ფარგლებში.

გამგებლის მოადგილემ ნუგზარ ცინცაძემ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა მომართოს მუნიციპალიტეტს განცხადებით, რომელსაც განიხილავს შესაბამისი კომისია და მიღებული დასკვნის მიხედვით გაიცემა მხოლოდ ერთჯერადი დახმარება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გელა კილაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

საკრებულოს ბიურო

